საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდის პარკი

მთაწმინდის პარკი, კულტურისა და დასვენების პარკი თბილისში. გაშენდა 1930 მთაწმინდის პლატოზე, ფუნიკულიორის ზედა სადგურის ღერძზე (არქიტექტორები - ზ. და ნ. ქურდიანები, დენდროლოგი - ნ. ციციშვილი). მ. პ-ს ამჟამად უკავია 100 *ჰა*-ზე მეტი ფართობი. საბაღო ხეივნებისა და ბილიკების ქსელთან შეჯერებული კიბეებისა და ტერასების სისტემა მიემართება მთისკენ და თანდათანობით გადადის ტყე-პარკში. ამ გეგმარებას აგვირგვინებდა ი. სტალინის ბრინჯაოს მონუმენტი, რ-იც XX ს. 50-იანი წლების დასასრულს აიღეს.

მ. პ-მდე 3 გზა ადის: ფუნიკულიორი, საბაგირო და სამანქანო გზა. ფუნიკულიორის რკინიგზა 1900 ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა დააპროექტა. რკინიგზის სიგრძეა 501 *მ*, ლიანდაგის დახრის კუთხე - 28-330. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და ციცაბო რკინიგზაა. მისი მშენებლობა 1905 დასრულდა. ფუნიკულიორის რკინიგზას 3 გაჩერება აქვს. შუა გაჩერებით მგზავრები მთაწმინდის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში ხვდებიან. ზედა სადგურზე აგებული იყო ორსართულიანი კოშკურებიანი ნაგებობა „როტონდა“, სადაც იმავდროულად კაფე-ბარი და რესტორანი იყო განთავსებული. ძველი რესტორანი 1936-38 რეკონსტრუქციის შედეგად შეიცვალა და მესამე სართული დაემატა, 1971 კი ქვედა სადგურის შენობაც გადაკეთდა (არქიტექტორები - გ. ბათიაშვილი, ტ. ქუთათელაძე), მთაწმინდის საბაგირო გზა 2024 განახლდა, სამუშაოები შეასრულა ავსტრ. კომპანია დოპელმაიერმა.

მ. პ. არაჩვეულებრივი გეოგრაფიული მდებარეობითა და ინფრასტრუქტურით თბილ. ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ნაწილია. XX ს. დასაწყისში ცნობილმა მეცენატმა ბ. პატარკაციშვილმა მ. პ.-ში დიდი ინვესტიცია განახორციელა, რამაც საფუძველი ჩაუყარა

გასართობი პარკის "ბომბორას" მშენებლობას, სადაც ამჟამად განლაგებულია ფართოდ განვითარებული ატრაქციონების ქსელი, სხვადასხვა პავილიონი, სათამაშო ბაქანი, კინო-თეატრი, პლანეტარიუმი და სხვ. განახლებული მ. პ. მრავალი ატრაქციონით დამშვენდა („მოცეკვავე ხე“, წყლის ატრაქციონი, ტრამვაი, რ-იც პარკის შიდა ტერიტ-ზე მოძრაობს, „დიდი მანქანები“, „მოჩვენებათა ციხე-კოშკი“, ტირი და სხვ., აგრეთვე ექსტრემალური ატრაქციონები).

მ. პ-ის ტერიტორიაზე აღმართულია სატელევიზიო კოშკი-ანძა (სიმაღლე 210 *მ*).